

სარეკომენდაციო წერა მათემატიკაში

მე-7 კლასი/ ვარიანტი I / 3.06.2023 / (წერის ხანგრძლივობა 2 სთ 30 წთ)

(მაქსიმალური ქულა 40)

1. გამოთვალეთ: $\frac{2\frac{6}{13}\left(2\frac{1}{12}+\frac{5}{8}\right)}{2\frac{8}{21}-1\frac{4}{21};1\frac{1}{14}}$ (პას.: 5,2)
2. ამოხსენით განტოლებები:
 - ა) $2 - \frac{7-2x}{16} = \frac{3x}{8} - \frac{2x+5}{12}$ (პას.: 23,75)
 - ბ) $9,4 - 0,6(0,4x - 5) = 1,5(1,6 - 3x) - 3,2(3 + 0,2x)$ (პას.: -4)
3. ოსტატი გარკვეულ საქმეს აკეთებს 20 დღეში, შეგირდი კი-იმავე საქმეს 30 დღეში. 3 დღე მათ იმუშავეს ერთად. შემდეგ დარჩენილი საქმის 40% გააკეთა შეგირდმა, ხოლო 60% - ოსტატმა. სულ რამდენი დღე იმუშავა თითოეულმა მათგანმა? (12 -12 დღე)
4. ტურისტმა პირველ დღეს გაიარა მთელი გზის $\frac{1}{18}$ ნაწილზე 20 კმ-ით ნაკლები. მეორე დღეს - დარჩენილი გზის $\frac{1}{7}$ ნაწილი. ამის შემდეგ გასავლელი დარჩა 5-ჯერ მეტი, ვიდრე გაიარა პირველ და მეორე დღეს ერთად. იპოვეთ მთელი გზა. (720 კმ)
5. ბალში დარგულია 140 ხე, მათ შორის არის ატმის ხეები. რამდენი ატმის ხე უნდა დარგონ, რომ მათი რაოდენობა 20%-დან გაიზარდოს 30%-მდე? (20)
6. პირველი რიცხვი 80%-ით მეტია მეორე რიცხვზე და 10%-ით ნაკლებია მესამე რიცხვზე. იპოვეთ რამდენი პროცენტით ნაკლებია პირველი რიცხვი დანარჩენი ორი რიცხვის ჯამზე. (40%)
7. 30 ლიტრ 80%-იან სპირტის სხნარს დაუმატეს 10 ლიტრი წყალი. შემდეგ მიღებული ნარევიდან გადმოასხეს 5 ლიტრი ნარევი და დაუმატეს 21 ლიტრი წყალი. რამდენი პროცენტი სპირტია მიღებულ სხნარში? (37,5%)
8. გიგის სურს მწკრივში ჩამოწეროს 20 მთელი რიცხვი, რომელთა ჯამი უნდა იყოს ნაკლები -2023-ზე (მინუს 2023-ზე), ხოლო ნებისმიერი სამი მომდევნო რიცხვის ჯამი იყოს დადებითი. შეძლებს თუ არა გიგი ამის გაკეთებას? (პასუხი დაასაბუთეთ) (შეძლებს, მაგ.: -2030;0;2031;...;-2030;0.)

სარეკომენდაციო წერა მათემატიკაში

მე-7 კლასი/ ვარიანტი II /3.06.2023 / (წერის ხანგრძლივობა 2 სთ 30 წთ)
(მაქსიმალური ქულა 40)

1. გამოთვალეთ: $\frac{3-\frac{2}{11}(1-\frac{2}{21}+\frac{3}{14})}{4-\frac{7}{12}-2\frac{1}{12}:1-\frac{7}{8}}$ (პას.: 1,2)
2. ამოხსენით განტოლებები:
 - ა) $3 - \frac{9-4x}{12} = \frac{5x}{6} - \frac{3x+4}{9}$ (პას.: $\frac{97}{6}$)
 - ბ) $5,8 - 0,4(0,3x - 5) = 1,5(1,2 - 3x) - 2,1(4 + 0,2x)$ (პას.: -3)
3. ოსტატი გარკვეულ საქმეს აკეთებს 40 დღეში, შეგირდი კი-იმავე საქმეს 60 დღეში. 6 დღე მათ იმუშავეს ერთად. შემდეგ დარჩენილი საქმის 40% გააკეთა შეგირდმა, ხოლო 60% - ოსტატმა. სულ რამდენი დღე იმუშავა თითოეულმა მათგანმა? (24-24 დღე)
4. ტურისტმა პირველ დღეს გაიარა მთელი გზის $\frac{1}{16}$ ნაწილზე 50 კმ-ით მეტი. მეორე დღეს- დარჩენილი გზის $\frac{1}{5}$ ნაწილი. ამის შემდეგ გასავლელი დარჩა 2-ჯერ მეტი, ვიდრე გაიარა პირველ და მეორე დღეს ერთად. იპოვეთ მთელი გზა. (480კმ)
5. ბაღში დარგულია 120 ხე, მათ შორის არის ვაშლის ხეები. რამდენი ვაშლის ხე უნდა დარგონ, რომ მათი რაოდენობა 30%-დან გაიზარდოს 40%-მდე? (20)
6. პირველი რიცხვი 20%-ით მეტია მეორე რიცხვზე და 40%-ით ნაკლებია მესამე რიცხვზე. იპოვეთ რამდენი პროცენტით ნაკლებია პირველი რიცხვი დანარჩენი ორი რიცხვის ჯამზე. (60%)
7. 40 ლიტრ 60%-იან სპირტის სხნარს დაუმატეს 20 ლიტრი წყალი. შემდეგ მიღებული ნარევიდან გადმოასხეს 15 ლიტრი ნარევი და დაუმატეს 9 ლიტრი წყალი. რამდენი პროცენტი სპირტია მიღებულ სხნარში? ($33\frac{1}{3}\%$)
8. გიგის სურს მწკრივში ჩამოწეროს 20 მთელი რიცხვი, რომელთა ჯამი უნდა იყოს ნაკლები -2023-ზე (მინუს 2023-ზე), ხოლო ნებისმიერი სამი მომდევნო რიცხვის ჯამი იყოს დადებითი. შეძლებს თუ არა გიგი ამის გაკეთებას? (პასუხი დაასაბუთეთ) (შეძლებს, მაგ.: -2030;0;2031;...;-2030;0.)